№ 20. 27 იანვარი, პარასკევი. 1866—1884 27 იანვარი, პარასკევი. № 20.

«დროების» რედაქცია—სიმონსონოვის ქუჩაზე, ნაზაროვის სახლში, 1-ლი კლასიკური გიმნაზიის უკან.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში რედაქციაშივე, ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію «Дроэба»

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით—8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ. 50 კ; 8 თვით—7 მან; 7 თვით—6 მ; 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვ.—4 მ.; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ; 1 თ.—1 მ.

# დროება

გამოდის ყოველ დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: სტრიქონზე რვა კაპ; განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვ. ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი.

იანვრის 26, თებერვლის 9 და 16
დანიშნულია
გორის «კრუჟოკში»
„მასკარადი"
იქვე დანიშნულია
იანვრის 29, თებერვლის 5, 12 და 19
სატანცაო საღამოები
(5—3)

ვაუწყებ გორის მაზრის კეთილშობილთ, რომ ქ. გორში ვაღებ კანტორას სადაც მივიღებ «ვიკუპნი დაგოვორების» შედგენას მებატონეთ და გლეხთა შორის მამულების შესყიდვაზედ. მსურველთ შეუძლიანთ მობრძანდნენ მოსალაპარაკებლად ჩემს კანტორაში რომელიც გაიღება ამა იანვრის 27-ს დიდ ქუჩაზე.

(4—1) ილიკო მაჭავარიანი.

## არაყი და ბაჟი.

თბილისი, 27 იანვარს.

კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას მმართებლობისგან მინდობილი აქვს განარჩიოს ის აქციზის სისტემა, რომელიც დღემდის განაგებს ჩვენში არაყის გამოხდის საქმეს. უკეთუ იცნობს იგი ამ სისტემას უვარგისად, უნდა შეიმუშაოს ახალი და უკეთესი სისტემა.

დღემდის აქციზი ერთმევა გამომხდელს მის ქვაბის სიდიდის კვალობაზედ: თითო ვედროს სიდიდეზე 25 კაპ. 24 საათში; ამასთან შეუძლიან ჰხადოს არაყი სრულს იმ დროს, რომლისათვისაც მიუცია აქციზი. ამის გამო, არყის გამომხდელი სცდილობს, რაც შეიძლება ამ დროს ბევრი გამოხადოს, რომ გამოხდილი სპირტი, ანუ არაყი იაფად დაუჯდეს. ამისთვის ის ეჩქარება, რაც შეიძლება, ქვაბი მალ-მალ აამსოს ახალი ჭაჭით და თან ცეცხლსაც ძალას ატანს. რაც გამოსახადი ქვაბი თავის მოწყობილობით უფრო მოხერხებულია, მით უფრო მოკლე ხანში ბევრს არაყს გამოხდის და მით უფრო ბევრ ფულს მოაგებინებს გამომხდელს.

ეს იყო იმის მიზეზი, რომ ჩვენებური სოფლის გამოსახადი ქვაბები აღარ გამოდგა, რადგანაც ეს ქვაბები ერთობ მძიმედ ჰხდიან არაყს და გამომხდელთ აქციზი ძვირად უჯდებოდათ. ამის გამო, სოფლელები იძულებულნი იყვნენ თავიანთ ქვაბები გაეუქმებინათ და ხელი აეღოთ არყის გამოხდაზე. ამასთან თითონ არყის ხდის ნება-რთვის ალებისათვის და აქციზის ფულის შეტანისათვის მეტად ბევრი წვალება სჭირდებოდა გლეხს და ხშირად წადილსაც ვერ ეწეოდა.

ხსენებულ მიზეზების გამო, არყის გამოხდა ჩაუვარდათ ხელში კერძო პირებს, მომეტებულ ნაწილად სოფლის მედუქნეებს და, რაც კი მოგება მოსდევს ამ წარმოებას, სულ ამათვე რჩებათ.

კაი ხანია, რაც ჩვენი სამეურნეო საზოგადოება აქცევდა მმართებლობის ყურადღებას ყოველ იმ უწესობაზე, რომელიც ჩამოაგდო 1876 წ. შემოღებულმა აქციზმა.

დღეს თითონ მმართებლობამ სცნა ესე ყოველივე და სცდილობს შემოიღოს იმისთანა წესი ხარჯის გადასახადისა, რომელსაც ერთის მხრივ მმართებლობას შემოსავალს არ შეუმცირებდეს, მეორეს მხრივ მეურნეობას არ აძლევდეს ზიანს. ამისთვის იგი მიმართავს სამეურნეო საზოგადოებას, რათა მან განიხილოს, თუ რა მხრივ აბრკოლებს აქციზი სამეურნეო წარმოებას; აგრეთვე გამოირკვიოს ის წესი, რა წესითაც უნდა შეიცვალოს აწმყო სისტემა.

სამეურნეო საზოგადოებამ, იმ აზრით, რომ საფუძვლიანად გამოეკვლია ეს საგანი, მიმართა ჯერ ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, ბბ. გუბერნატორებს და მაზრის უფროსებს და მერე თითონ მამულის-პატრონებს თხოვნით, რომ მათ გამოეგზავნათ საზოგადოებისათვის ყველა ის ცნობები, რომელნიც აქციზს და არყის გამოხდას შეეხებოდა. ბევრისგან მოუვიდა საზოგადოებას დაწვრილებითი ცნობანი ამ საგანზე, საიდამაცა სჩანს, რომ 1876 წ. შემოღებულ აქციზის სისტემას მთლად მოუსპია ძველებური, შინაურული არყის ხდა და ეს საქმე ჩავარდნიათ ხელში უცხო პირებს. აგრეთვე აღმოჩნდა, რომ ბევრ ალაგას ჰყრიან კიდეც ჭაჭა-თხლეს.

სამეურნეო საზოგადოებამ თავის ორ პირველ კრებაში ვრცლად გამოიკვლია ყველა ნაკლულევანება დღევანდელი აქციზის სისტემისა და ამოირჩია კომისია, რომელსაც მიანდო შეემუშავებინა პროექტი ახალი სასურველი სისტემისა.

იმედი გვაქვს კავკასიის სამეურნეო საზოგადოება მალე დაამთავრებს ამ საქმეს და დროზე გაგზავნის თავის პასუხს პეტერბურგში, რათა ახალი წესის შემოღების დროს მთავრობამ იქონიოს მხედველობაში ჩვენი განსაკუთრებული საჭიროებანი და შემოიღოს იმისთანა წესი არყის გამოხდისა, რომელიც ჩვენი სამეურნეო წარმოებისათვის იქნება საჭირო.

ჩვენ არ ვიცით, თუ სამეურნეო საზოგადოებისგან ამორჩეული კომისია რა გვარ სისტემას შეიმუშავებს და მარტო ორი სიტყვით მოვიხსენიებთ იმ მოთხოვნილებებს, რომლებითაც სამეურნეო საზოგადოებამ უნდა იხელმძღვანელოს თავის აზრის დადგენისათვის.

არავისთვის არ არის დაფარული ის ჭეშმარიტება, რომ კავკასია არის უპირატესად სამეურნეო ქვეყანა, რომელიც სცხოვრობს თავის დედა-მიწის შემუშავებით. ინდუსტრიული წარმოება ჩვენში შეადგენს იმისთანა უმნიშვნელო მოვლინებას, რომ მას არა აქვს გავლენა ჩვენი ხალხის კეთილ-დღეობაზე. მართ მაძღარნი და შემოსილნი, თუ კარგი მოსავალი გვეღირსება; ბევრს ვიკლებთ, როცა მოსავალი არ გვივარგა. ამისათვის განათლებული ნაწილი ჩვენი საზოგადოებისა, როგორც თითონ მმართებლობა, უნდა ხმარობდეს ყოველ ღონის-ძიებას, სამეურნეო წარმოება დააყენოს იმისთანა ნიადაგზე, რომ დედა-მიწა უკეთესად შემუშავდეს, მის ნაწარმოები უკეთ გამოდგეს. ამისათვის საჭიროა, როგორც თითონ სამეურნეო წარმატება, ისე მისგან დამოკიდებულნი წარმოებანი არ იყვნენ შევიწროებულნი რომელიმე წესდებულებით. ამ საგანში შევიწროება ქვეყნის სიმდიდრეს შეამცირებს და თითონ დედა-მიწის შემმუშავებელთაც გააღარიბებს.

მართალია, მთავრობას ვრცელი სახელმწიფოს მოსავლელად და განსაგებლად მუდამ წელს დიდი შემოსავალი ეჭირვება. იგი იძულებულია ბევრს მეურნეობაზე დამოკიდებულს წარმოებას დაადოს ხარჯი, როგორც მაგ., შაქრის გამოყვანას, სპირტის გამოხდას და სხვ., მაგრამ მაინც ამ შემთხვევებში ბაჟის დადება ფთხილად უნდა მოხდეს, რათა მთავრობის დროებითმა შემოსავალმა არ დასჩაგროს წარმოება და ამით არ შეამციროს თითონ ის წყარო, რომელიც იყო დამოკიდებული ბაჟ-დადებულ წარმოებაზედ. ამისთვის მარტო იმ წარმოებაზედ უნდა დაიდვას ბაჟი, რომელიც საკმაოდ გაძლიერებული, დახელოვნებული და გზა-გაკვლეულია და ისე უნდა დაიდვას, რომ წარმოებას არ ავიწროებდეს.

(დასასრული ხვალ)

## შინაური ქრონიკა

≈≈≈ როგორც შევიტყეთ, ერთს სათეატრო საქმის კარგად მცოდნე ყმაწვილ-კაცს უკისრია ქართული თეატრის ხელმძღვანელობა. ეს ამბავი ყველას სასიამოვნოდ უნდა დარჩეს, ვისაც კი მართლა ჩვენის თეატრის წარმატება უნდა და არა მარტო ლეკურ-ჩაჩნური-აფხაზურების ნახვა. ამას წინადაც ვამბობდით, რომ ცოტათიც არის გემოვნება-გახსნილს კაცს ეხლა ჩვენს თეატრში არ შეესვლება. თუ ზემოხსენებულმა პირმა შეიძლო საუკეთესო არტისტების წინ-წამოყენება, რიგიანი პირების ამორჩევა და რაიმე დისციპლინის ჩამოგდება ბაბილონის გოდოლის აშენებლებსავით არეულს «დასში»,—ამით იგი დიდს სამსახურს გაუწევს ჩვენი დაობლებული თეატრის საქმეს.

მაგრამ მარტო ერთი კაცისათვის ამ სიმძიმე საქმისატვირთვა ძნელია. აქ დახმარებაა საჭირო და ვინ უნდა დაეხმაროს, თუ არ დრამატიული საზოგადოება? მართლაც, სად არის ახლა ეს დრამატიული საზოგადოება, ვის აპარია მისი ავლა-დიდება, მისი ტანისამოსები, რეპერტუარი? თუმცა, როგორც ამბობენ, არც ერთი გამგეობის წევრი ამ საზოგადოებისა არა კისრულობს საქმის მოთავეობას, მაგრამ ეხლა კი ნება გვაქვს მოვთხოვოთ მათ, რომ თუ საქმე უკისრიათ, ბოლოც მიადევნონ. ან საქმეს ერთგულად მოეკიდნენ, ან შეჰყარონ დრამატიული საზოგადოების კრება მისის წესდებისამებრ და იქნება კრებამ სხვა უფრო გულ-შემატკივარი გამგენი ამოირჩიოს.

აქამდის კიდევ ამას ვამბობდით, მაგრამ ეხლა კი დრამატიული საზოგადოების გამგეობა უეჭველად ასე უნდა მოიქცეს. ეხლა საქმე ასეა დაყენებული, რომ ქართულმა თეატრმა ან უნდა უწინდელი სახელი და პატივისცემა მოიპოვოს საზოგადოებაში, ან ჩაიშალოს. ასე წარმოდგენების მართვა, როგორც ბოლოს დროს იმართება, ჩვენის აზრით, უფრო მავნებელია, ვიდრე სასარგებლო თეატრის საქმისათვის.

≈≈≈ სომხის საზოგადოება სექტემბრიდამ აპირობს სომხური თეატრის ხელმეორედ დაარსებას. ამ ცოტას ხანში გაიმართება რამდენიმე კონცერტი სათეატრო ფონდის შესადგენად.

≈≈≈ თბილისში არსებობს განყოფილება საიმპერატორო მუზიკალური საზოგადოებისა, რომელსაც მუზიკის სკოლაცა აქვს გამართული. მოთავენი ამ საზოგადოებისა არიან ბბ. სავანელი, მიხანდარი და ალიხანოვი. დირექტორად არის ბ. იპანოვი, რომელზედაც ამას წინად იყო ნათქვამი ჩვენს გაზეთში, რომ ქართული ხმების ნოტებზე გადაღებასა ცდილობსო. ამ დღეებში გვექნება შემთხვევა გავაცნოთ მკითხველებს აზრი ამ საზოგადოებისა და მისი მოქმედება, ეხლა ვიტყვით მხოლოდ, რომ ამ საზოგადოების წევრთა მრავალ კაი საქმეში მიუღიათ მონაწილეობა და ბევრის საქველმოქმედო საზოგადოებისათვის არა ერთი და ორი ასი მანათი შეუ-

მატებიათ. ჩვენ შევიტყეთ, რომ ამ საზოგადოების თავმჯდომარეობა უკისრნია ამ დღეებში დირექციის თხოვნით კნ. მარ. ვახტ. ას. ორბელიანისას, რომელმაც სათავად-აზნაურო სკოლის კომიტეტში მონაწილეობის მიღებით დაამტკიცა, რომ ამ გვარ თანამდებობას იგი არ იღებს მარტო როგორც საპატიო ტიტულს და ყოვლის ღონისძიებით ცდილობს თვისი ყურადღება და დახმარება არ მოაკლოს მისთვის მინდობილ საქმეს.

≈ 26 იანვარს დილით, მთელს ტფილისს მოეფინა საზარელი ხმა იმ ავაზაკობისა, რომელიც მოხდა 25 იანვარს საღამოზედ ჰუკიაში, ალექსეევის ქუჩაზე, № 19 სახლში, სადაც სცხოვრებდა თავისის გასათხოვარი ქალით საბრალო ქვრივი ალუნაკოვისა. დილა ადრიან მოკიდებული, ხალხი ბუზივით იყევა ხსენებულ სახლთან და აღშფოთებული ბაასობა ცხარედ ამ ავ-კაცობაზედ. 25 იანვარს, საღამოს მეცხრე საათზე, ქვრივი ალუნაკოვისა თურმე ზის უდარდელად და ქალიშვილსა შლის, ეკითხება ქალიშვილს თავის გულის პასუხებს. მისი გასათხოვარი ქალი მისჯდომია აღუღებულს სამოვარსა და რეცხავს ჩაის ჭურჭელს. ამ დროს უცებ დაურაკუნებენ კარებს. ქვრივი მიუახლოვდება და ჰკითხავს: ვინა ხართო? პასუხად ესმის: «თქვენმა ძმამ მოსკოვიდამ წერილი გამომატანა და მიიღეთო». უბედურს თურმე საშინლად გაეხარდა ეს ამბავი და ფიცხლავ გაალო კარი. ამ დროს შეცვივდა ოთახში ხუთი კაცი. სტაცეს დედა-კაცს ხელი, ჩაუდეს პირში ხელსახოცი, დასცეს მკერდში და ყელში ხანჯალი, რის შემდეგ საწყალი ადამიანი დაეცა ძირს მკვდარი. მერე მისცვივდენ შეშინებულს და ენა-ჩავარდნილს ქალს. იმასაც ხელსახოცი დაუცვეს პირში. ერთმა ავაზაკმა თქვა — მოდით, ესეც მოვკლათ, თორემ სუყველას გვიცნობს და გაგვცემსო. ქალმა, როგორც თურმე თითონ ამბობს, მოახერხა ხელსახოცის ამოღება და შეეხვეწა ავაზაკებს — ოღონდ მე მაინც ნუ მამკლავთ და წაიღეთ ყველაფერი, არას დაგიმალავთ და არც დავიყვირებო. ავაზაკებმა შეუკრეს ხელები ქალსა, გახსნეს შკაფი, კამოდი და ყუთები, ამოიღეს ძვირფასი ნივთეულობა, რაც კი მოიპოვებოდა. მერე ნახეს ერთი გრაფინკა არაყი, გადმოიღეს სტაქნები, მხიარულად დადგეს სტოლზე, დალიეს, ადგნენ და წავიდენ. მხოლოდ ამ ამბის შემდეგ, ქალმა მოხსნა თავის დედას შალი, წამოისხა ჰკვა-მიხდილმა მხრებზე, გამოვარდა გარედ და შეჰქნა ყვირილი — «მიშველეთ, დედა მომიკლესო». ამ ზარ-დამცემი ყვირილით შევარდა საცოდავი ქალი იქვე მეზობლად მცხოვრებ ბიძასთან. შეიყარა მრავალი ხალხი, პოლიცია, მაგრამ რაღა დროს: ავაზაკებმა თავს უშველეს! ქალი თურმე ამბობს, ვითომც მას შეუძლიან იცნოს ავაზაკები, თუ აჩვენეს მას იგინი როგორმე. პოლიციას, ამბობენ, სამი-ოთხი კაცი დაუჭერიათ, მაგრამ ქალს ჯერ არ აჩვენებენ, რადგანაც ის აქამდის სრულ ჭკუაზედ ვერ მოსულა.

როგორც მეზობლები ლაპარაკობენ, ერთი კვირის წინ მოკლულს ალუნაკოვისას მოსკოვიდამ ძმისაგან მოსვლია ოთხასი თუმნის განძეულობა ქალის სამზითვოდ. იმავე ძმას მოუწერია, რომ ერთი კვირის უკან წერილს გამოგიგზავნიო. რაკი ამ წერილის მოლოდინი წინადვე ჰქონია, იმიტომ მოტყუებულა საცოდავი და მაშინვე გაუღია კარი. აქედამ ხალხს ის დასკვნა გამოჰყავს, რომ ალბად შინაური უნდა იყოს ამ ბოროტ-მოქმედების მოთავე, რომელსაც სცოდნია განძეულობის ამბავიცა და ისიც, რომ ალუნაკოვის ქვრივი წერილს ელის ძმისაგან, და ამით შეუტყუებია თავი იმ უბედურს საღამოს. სასტიკი გამოძიებაა დანიშნული ამ საზიზღარ და აღმაშფოთებელ ბოროტ-მოქმედებაზედ.

≈ ტფილისის პოლიციას ცნობები მოსვლია, ვითომც ქალაქის ქარვასლებში ამ ბოლოს დროს შემოუპარებიათ კონტრაბანდით დიდ-ძალი ფარჩეულობა თბილისელ ვაჭრებს. ამ კონტრაბანდის აღმოსაჩენად, გუშინ, 26 იანვარს თათრის მეიდანზე, ავლაბრის ხიდთან და სხვა ადგილებში, მრავალი თოფიანი სალდათები და პოლიციელები შემოერტყნენ ქარვასლებს და გულს-მოდგინედ სჩხრეკდენ, როგორც დუქნებს, აგრეთვე მათ სარდაფებს. ქარვასლებში არავის უშვებდენ. შედეგი ჯერ არ ვიცით.

≈ ჩვენი ქალაქი მეტად ღარიბია მეიდნებით შუა გულ ადგილებში. სულ ოთხი-ხუთი მეიდანი აქვს ტფილისსა და ისინიც საშინლად ვიწრონი, ასე რომ ვაჭრები ერთი-ერთმანეთთან მიჭედილნი და ამომღრჩვალნი არიან უადგილობით. ამისთანა ადგილებზე მამულის მეპატრონეთ ადგიათ სიკეთე, — თითო მუჭა მიწა თავის წონა ოქროზე ძვირად უღირთ.

რაღა თქმა უნდა, რომ ამისთანა სივიწროეს მოსდევს დუქნების საშინლად დიდი ქირა. მედუქნე თითო კვადრატის არშინზე, რომ არ გადავამეტოთ, თითო ოქროს იხდის; ეს ქირა უნდა ააყენოს იმან სავაჭროს გაძვირებით. ამიტომ სრულებით პარადოქსი არ იქნება ვთქვათ, რომ ცხოვრების სიძვირეში უმთავრესს როლსა თამაშობს მეიდნების ვიწროობა და ცენტრალური ფართო ადგილების უქონლობა თბილისში. ამასთან ისიც უნდა ვსთქვათ, რომ ქალაქსა აქვს ისეთი ადგილები, რომელნიც შეიძლება მშვენიერ მოედნებად გადააქციოს. ჩვენ ვამბობთ მტკვრის ნაპირებზე, რომლებითაც ასე უხერხოდ სარგებლობს ქალაქის თვითმმართველობა. ეხლა შეგვიძლიან სიამოვნებით ვაცნობოთ ტფილისელებს, რომ ქალაქის გამგეობასა აქვს განზრახვა გაადიდოს რიყის მეიდანი. ამის გამო, მუხრანის ხიდის ქვემოთ, საცა მტკვარი ორ ტოტად იყოფა, გამგეობის მეცადინეობით ქვასა და ქვიშასა ჰყრიან მტკვარში, რომ რიყის პატარა ტოტი შესწყვიტონ და ამ სახით თითქმის ერთი სამად გაადიდონ რიყის მეიდანი. ქვა და ქვიშა ჩამოაქვთ იმ ახალი გზიდამ, რომელიც ქალაქს გაჰყავს რიყიდამ ავლაბარში. აზრი ჩინებულია. ეს მეიდანი ქალაქს შეექნება დიდის სიმდიდრის წყაროდ შემოსავლითაცა და იმ შეღავათითაც, რომელსაც იგი მოუტანს როგორც ვაჭრებს, აგრეთვე ხალხსაც, მოკლებულთ ფართო ადგილებს ქალაქის შუა გულში. მხოლოდ საჭიროა ისეთი სიმაგრე მისცენ ამ ჩაყრილს ქვა-ქვიშას, რომ მოგიჟიანებულმა მტკვარმა თან არ წაიღოს.

≈ ოზურგეთიდამ გვწერენ: «ამას წინად გაზ. «კავკაზ»-ში ყრუად აწერილი იყო შემაძრწუნებელი ამბავი, რომელიც მოხდა ოზურგეთის მაზრის სურების საზოგადოებაში. ამ ამბის გმირი ბძანდებოდა ერთი უდიდეს პირთაგანი ოზურგეთის ადმინისტრაციისა. საქმე შეეხებოდა უმიზეზო გალახვას და გაუპატიურებას, რომელიც მიაყენა ხსენებულმა გმირმა მამასახლისს რამიშვილს. იმავ «კავკაზ»-ში ეწერა, რომ ცემასთან ერთად ხსენებულმა პირმაააწყვიტა მამასახლისს ჯაჭვი და ლუკმა-ლუკმა აქცია იგიო. მხოლოდ კორესპონდენტს დავიწყებოდა მოეხსენებინა აგრეთვე, რომ ნაჩვენებს გაუპატიურებას და თავისი უფლების გადაჭარბებასთან, ამ გმირმა აგრეთვე უკანონობა მოახდინა და იმავე დროს ორმოც-და-ათს კაცზე მეტი დააფიცა, მაშინ-როდესაც აწინდელ კანონის ძალით მოწმების დაფიცება შეუძლიანთ მხოლოდ სისხლის საქმეებში და ისიც მარტო სოფლის და სასამართლოთა დაწესებულებას. აწერილი გმირობისთვის ხსენებული პირი არამცთუ არ დაუბარებიათ პასუხის-საგებლად 288, 338, 345 და სხვ. კანონდებულობის მუხლთა ძალით, არამედ ჯერ საქმეც არ აღძრულა ამის თაობაზედ, თუმცა საბრალო მამასახლისმა მიმართა არზით მთავრობას.

ამ დღეებში დაჩაგრული მამასახლისი, სამართლის მიცემის მაგიერ, დაიჭირეს და ჩამოიყვანეს ოზურგეთში, საიდამაც, მგონი, უკვე გაგზავნილ იქმნა ბათუმის ციხეში».

≈ მადლობა ღმერთს, «რუსეთის ნავოსნობის» საზოგადოებას, რომელსაც მთელი შავი ზღვა თავის საბძანებლადა ჰქონდა გადაქცეული და მოგზაურებს ტყავს აძრობდა, თანდა-თან მოცილეები უჩნდება. ჯერ «როდოკონაკის» გემებმა მოსტეხეს კბილი და ეხლა, როგორც «ნოვოე ვრემია» იწერება, თებერვლიდამ დაიწყებს სიარულს ყოველ თვე სამი საუკეთესო ცეცხლის გემი გერმანიის დროშის ქვეშ ოდესასა და ჰამბურგს შუა და გზაზედ შეუხვევენ ხოლმე ბათუმსა და ფოთშიაც.

≈ როდესაც რაიმე კერძო დაწესებულებაში დაგირავებულ ქონებაზედ საზოგადო ვაჭრობა მოხდება ხოლმე, მოვაჭრენი პირადად უნდა გამოცხადდენ და ისე ივაჭრონ. ეხლა ამ საგანზედ აღძრულია მოლაპარაკება ფინანსთა სამინისტროში, რომ დაბეჭდილი კონვერტებით ვაჭრობის ნებაც მოცემულ იქმნას («მოსკ. უწყ.»).

≈ ვაჭრებზედ გარდასახადი აქამდის იმის კვალობაზედ იყო ხოლმე დაწესებული, — მოვაჭრე წვრილ-წვრილად ვაჭრობდა, თუ ნარდად; ამას გარდა, დიდი შენობა ეჭირა ვაჭრობისათვის, თუ პატარა. ეხლა განზრახვა აქვს მთავრობას ეს წესი შესცვალოს და სავაჭრო გარდასახადი იმის კვალობაზედ დააწესოს, თუ რამდენ თანხას ამუშავებს მოვაჭრე («მოსკ. უწყ.»).

## ქალაქის საბჭოს კრება

### 23 იანვარს. *)

ოც-და-სამი იანვრისთვის ოც-და-სამი საქმე იყო გასარჩევად დანიშნული ქალაქის საბჭოში. ამ მოზრდილი რიცხვიდამ გაირჩა მხოლოდ სამი საქმე, ისიც ცალ-ყბად. ერთი შეეხებოდა ქალაქის ვაჭრობის დეპუტატთა ამორჩევას, აგრეთვე წევრების დანიშვნას სარევიზიო კომისიაში, განსახილველად ქალაქის გამგეობის მოქმედებისა და გამსესხებელ-კასებზე თვალ-ყურის ჭერისა. მეორე საქმეს შეადგენდა ბ. ქალაქის თავის შემდეგი წინადადება: ქალაქის «კონკის» გამგეობამ დაარღვია პირობა იმის შესახებ, რომ სულზე თითო შაურს იღებს გზაში, რომელიც მუშაობს რიყის ქუჩაზე; მაშინ, როდესაც, პირობის ძალით, უნდა სამ-სამი კაპეიკი ეხდევინებინა მგზავრზე. ქალაქის გამგეობამ მიჰმართა ამის გამო პოლიცმეისტერს და სთხოვა მას დახმარება, მაგრამ, დახმარების მაგიერ, მიიღო პასუხად — პირობის დარღვევა სასამართლოს საქმეა და წადით, უჩივლეთო. ამ განკარგულებას მოჰყვა გამგეობის საჩივარი პოლიცმეისტერზე ბ. ტფილისის გუბერნატორთან, რომელმაც პოლიცმეისტრის განკარგულება იცნო სამართლიანად. ბ. ქალაქის თავმა გამოუცხადა საბჭოს, რომ ამისთანა საქმეებში შეუძლებელია მუდამ სასამართლოს კარებზე სიარული, აქ პოლიცია ვალდებულია პირ-და-პირ აღადგინოს ქალაქის უფლებანი, როცა მათ ვისგანმე ევნებათ. ამიტომ უნდა გავგზავნოთ სენატში საჩივარი ბ. გუბერნატორის უკანონო გადაწყვეტილებაზედაო.

**ხმოსანი სტებნიცკი.** ამისთანა ბუჩულებზე არა ღირს საჩივრებით შევაწუხოთ სენატი. სჯობს, მოვსპოთ აღძრული საქმე. პოლიციას ესმის თავისი მოვალეობა.

---

*) სამშაბათისთვის ამოწყობილი იყო ეს ანგარიში, მაგრამ დღემდის ვერ გადავიღეთ გაზეთში.

**გამგეობის წევრი იზმაილოვი.** საქმეც ის არის, რომ პოლიციას თავისი მოვალეობა ესმის იმ შემთხვევაში, სადაც დასახელებულნი არიან მისი მოვალეობანი, მაგ., სანიტარულ ნაწილში, საქალაქო ფულების აკრეფაში. მაგრამ «კონკის» სახელიც არ იყო ჯერ, როდესაც შესდგა კოდექსი სხვა-და-სხვა მოვალეობაზედ, და ამიტომ კანონში არ არის დაწვრილებით ნაჩვენები, თუ როგორი დახმარება უნდა გაუწიოს პოლიციამ ქალაქის გამგეობას მაშინ, როცა «კონკის» კონტრაგენტი პირობაზე გადადის. მასთან, საჩივარზედ აღძრული საქმე ისე უმნიშვნელო არ არის, როგორც ბ. სტებნიცკის მიაჩნია. დღეს თუ პირობის ერთი მუხლი დაარღვიეს, ხვალ მეორეზე გადავლენ, და ამ შემთხვევაში სამუდამო უფლება უნდა გვქონდეს, რომ დავიხმაროთ პოლიცია. ამიტომ უნდა ვიჩივლოთ ბ. გუბერნატორის გადაწყვეტილებაზედ.

**ხმოსანი ისარლოვი.** ჰო, რატომ... ურიგო არ იქნება, რომ ვიჩივლოთ.

საბჭომ ერთ-ხმად გადასწყვიტა გაგზავნოს სენატში არზა.

ამის შემდეგ, საბჭო შეუდგა ტფილისში გაზით განათების შემოღებას. მაგრამ, ვაი იმ განათებას! ტყუილად კი არ არის ნათქვამი—«კაი მთქმელს კაი გამგონეც უნდაო». გაზით განათება ძლიან კაი აზრია. მაგრამ გამგონეს თუ ცოტათი უშლის სმენა და ვერც თვალი უჭრის, ყველა სიკეთე ბოროტებად ეჩვენება. აქაც ისე მოხდა. მოკლედ გადმოგცემთ უთავბოლო ბაასსა და ცილობას, რომელიც გამოიწვია გაზმა გუშინდელს ყრილობაში. გამგეობის მიერ დაბეჭდილი პროექტი ამ საქმისა რამდენიმე კვირის წინედ ჰქონდა დარიგებული ხმოსნებს. კრებაზე უნდა შესდგომოდნენ თითო-თითო მუხლის წაკითხვას და განხილვას. გამგეობას არ მისცეს ნება ამ წაკითხვისა. გაზის დასახელებისათანავე გაიმართა ცხარე ბაასი.

**ხმოსანი ალიხანოვი.** ჩვენ არაფერი არა გვეყურება-რა გაზის საქმეში. აქ ვერც გამგეობის პროექტს ვენდობით, რადგან იმასაც არ ესმის ტეხნიკური მხარე ამ საგნისა. უნდა ვერწმუნოთ მხოლოდ სპეციალისტებს. მაგრამ ის სპეციალისტები, რომელთაც გამგეობამ მიანდო პროექტის გადასინჯვა, ბეჯითად ვერ მოჰკიდებიან საქმეს. მაგალითად, ბ. შტეინმანი ამოწმებს, რომ ტეხნიკურად პროექტი კარგაა შედგენილიო. მე ვამტკიცებ, რომ შტეინმანს არ წაუკითხია ეს პროექტი ჯეროვანის ყურადღებით, თორემ როგორ ვერა ჰნახავდა შემდეგ შეცდომილებას: პროექტში სწერია—გაზის ფარნები ამა-და-ამ საათზე «ადრე» არ უნდა აენთონო; მაშინ-როდესაც უნდა იყოს დაწერილი—ამა-და-ამ საათზე «გვიან» არ უნდა აინთოსო. ცხადია, რომ თუ ბ. შტეინმანი გულიანად მოკცეოდა პროექტის წაკითხვას, უთუოდ უნდა დაენახა ეს უ[illegible]ებლიესი შეცდომა (ვინ იცის, იქნება, ბ. შტეინმანს ორთოგრაფიული შეცდომილებანიც უნდა გაესწორებინა გამგეობის პროექტში, და თუ არ გაუსწორებია, მაშასადამე, არც ბეჯითად განუხილავს იგი!!.). გარდა ამისა, თითონ ტეხნიკურმა კომისიამაც ზეპირად შეხედა საქმეს.

**იზმაილოვი.** ამ შემთხვევაში ჩვენ დაწვრილებით განხილვასთან საქმე არა გვაქვს. ჩვენ უნდა მხოლოდ პრინციპიალურად გადავწყვიტოთ, რა პირობით გვინდა გაზის შემოღება ტფილისის გასანათებლად, და როცა რომელიმე კომპანია მოისურვებს ამ საქმის აღებას, მაშინ, პირობის შეკვრის დროს, დაწვრილებით ჩამოვთვლით ყველაფერს.

**ხმ. გამბაროვი.** წყლის გაყვანაშიაც აგრე საზოგადოდ გამოვაცხადეთ ჩვენი სურვილი და როცა საქმე-საქმეზე მიდგა, მაშინ არც ერთი კომპანია აღარ მოგვეკარა. ამიტომ ჩვენ ეხლავე უნდა დაწვრილებით ჩამოვთვალოთ ყოველივე მხარე ამ საქმისა. რაკი ასეთი პროექტი ექნებათ ხელში, მაშინ რომელს კომპანიასაც დაუჯდება ჭკუაში, მოვა და იკისრებს საქმეს.

**ხმ. ალადათოვი.** მე იმასაცა ვჩივი, რომ რვაასი თუმანი დაგვეხარჯა როცა წყლის გასაყვან მილებზე ვფაციფუცობდით.

**იზმაილოვი.** რვა-ასი კი არა, ექვსას ორმოც-და-ათი თუმანი დაგვეხარჯა.

**ალადათოვი.** გინდა ხუთი იყოს, გინდა ექვსას ორმოც-და-ათი, გინდა რვა-ასი თუმანი, ხომ დაიხარჯა. რად უნდა მიდიოდეს უბრალოდ!.. აგრეთვე ამ გაზის საქმეში. გამოსაცდელადაო,—და ქალაქის ფული კი იხარჯება. «ისტორიული გამოცდილებანი» რვა-ასი თუმანი... ფიე! როგორ შეიძლება!

**იზმაილოვი.** სულაცარა, რ—ალაც ოთხმოცი თუმანი დაიხარჯა გამოსაცდელად. ვიყიდეთ ტყვიის მილები, ჩავფალით მიწაში და ეგ იყო.

**ალადათოვი.** მერე, ის მილები სად არის ეხლა?

**იზმაილოვი.** მიწაში. ვინ იცის, თაგვებმა შესჭამეს.

**ალადათოვი.** ჰო, აბა, მეც მანდა ვარ, რომ ქალაქის სარჩოს თაგვები სჭამენ-და!..

**იზმაილოვი.** სჯობია, ორ ნაწილად გავყოთ პროექტი: იურიდიულად და ტეხნიკურად. ჩვენ შევიმუშაოთ პირველი ნაწილი, რაშიც გავეგება საქმე, და მეორე ნაწილი გადავდოთ პირობის შეკვრამდის. ამიტომ, სჯობია, თითო მუხლი ცალკე წავიკითხოთ და გავსინჯოთ პროექტი.

ამისი თქმა და ალიაქოთის ჩამოვარდნა ერთი იყო. გაზის მოწინააღმდეგეთ შეჰქნეს ერთი ამბავი, აყალმაყალი. მხოლოდ ერთი ბ. ისარლოვის ხმაღა გამოერჩია აშკარად: «წაიკითხეთ, რაღას უყურებთო!» მაგრამ საყურებელი ბევრი იყო, თორემ განა წაკითხვა ვისმეს გაუძნელდებოდა.

**ალიხანოვი.** მე ცალ-ფულად არ მიღირს გამგეობის პროექტი. ეგ მისი შედგენილი კი არ არის, გადმოწერილია პირ-და-პირ ვარშავის და სხვა ქალაქების პროექტებიდამ. გამგეობას თითონ უნდა შეედგინა საკუთარი პროექტი.

**ქალაქის თავი.** უკაცრაოდ, შესცდით, რომ ისე ვერ შევადგინეთ, როგორც ბ. ალიხანოვს იამებოდა. მაგრამ ისიც კია, რომ რაც გინდ ჩინებულად შეგვედგინა, მაინც ბ. ალიხანოვს ვერ მოვაწონებდით ჩვენს პროექტს.

**ისარლოვი.** ჰო, თუ შესცდით, მაშ გაასწორეთ თქვენი შეცდომილება. (ამ საფუძვლიანმა შენიშვნამ ბევრი სიცილი გამოიწვია ხმოსნებში).

**იზმაილოვი.** საკვირველ ია, თქვენმა მზემ. წყლის გაყვანაზე გვემდურებოდით—რატომ არ გააცალკ-ცალკეთ იურიდიული მხარე ტეხნიკურის წვრილმანებიდამაო. გაზის თაობაზე იმდურებით: რად აცალ-ცალკევებთ ტეხნიკურს წვრილმანებს იურიდიული მხრიდამაო. თქვენსას კაცი ვერას გაიგებს.

**ქალაქის თავი.** ან წავიკითხოთ პროექტი, ან არა და გამგეობა აღარ აღძრავს ამ საქმეს, ვიდრე საბჭო თითონ არ გვიჩვენებს გზას, თუ როგორ ან ვის უნდა შევადგენინოთ პროექტი.

**ხმოსანი თამამშოვი (ბანკირი).** ეგ მხოლოდ თქვენი ჯიუტობა იქნება.

**ქალაქის თავი.** რად იქნება ჯიუტობა. ჩვენ რაც შეგვეძლო და როგორც მოვახერხეთ, ის წარმოვადგინეთ. არ მოგწონთ? მაშ თქვენი პროექტი წარმოადგინეთ. თუ არა და, მაშ რა ვქნათ. ვინც კი კაი ტეხნიკი გვეგულებოდა, ყველას ვაჩვენეთ და ყველამ თავისი დახმარება არ დაგვიშურა. ბ. ზულიშამბაროვი ხომ მთელი თვე მაგის განხილვას მოუნდა. სხვა რაღა გინდათ! თუ შეგიძლიანთ, სხვა ვინმე ავტორიტეტი გვიჩვენოთ; მე მზადა ვარ, მივმართო ყველას. არა და, დეე, ჩაიფუშოს საქმე, რაკი აგრე მოწადინებულნი ხართ.

**ისარლოვი.** ჰო და მართლა, ბატონებო! აქ სადა ჰხედავთ ჯიუტობას. აქ ქალაქის თავის მხრით არ არის ჯიუტობა...

**ქალაქის თავი (გაჯავრებით).** მე არა ვსაჭიროებ, რომ თქვენ წამომესარჩლოთ...

ბ. ისარლოვი დაჯდა და წამოდგა... ბ. ალადათოვი, რომელმაც, მგონი, თავის ხმოსნობაში ეს პირველადა თქვა გამგეობისაკენ დახმარებითი სიტყვა.

**ხმ. ალადათოვი.** მართლაც, რა ქნას გამგეობამ! მაგის პროექტი არ მოგწონთ, თქვენი ვერ წარგიდგენიათ. უნდა მანამდის შეფერხდეს საქმე, ვიდრე გზას არ უჩვენებთ გამგეობასა.

**ალიხანოვი.** ეგ არას გზით არ შეიძლება. გამგეობის მოვალეობაა უკეთესი პროექტი შეადგინოს.

**ქალაქის თავი.** ჩვენის მხრით ამ საქმეში არავითარი მოვალეობა არ არის. ჩვენგან ისიც დიდს კეთილგანზრახვას ამტკიცებს, რომ ვიკისრეთ საქმის მოთავეობა, ვიმუშავეთ დაუზოგველად, ვეცადენით, რაც კი შეგვეძლო. მეტი ვერ მოვახერხეთ. აბა, ახლა თქვენ იცით, როგორც უკეთეს სახსარს გვიჩვენებთ.

**ღამბაროვი.** არა, ბატონებო, საქმე აგრე არ არის. გინდათ თუ არა, საქმე გაიპირვეთ და უწარჩინებულესი პროექტი შეგვიდგინეთ. უფრო მეტი უნდა იმუშავოთ.

**ალიხანოვი.** დანიშნეთ სპეციალისტი, გადუწყვიტეთ გასამრჯელო და გაასინჯეთ თქვენი პროექტი.

**ქალაქის თავი.** ახლა მაგაზე დაგვახარჯვინეთ ფულები, რომ მერე ჩვენვე გვისაყვედუროთ.

**თამამშოვი (ბანკირი).** გაასინჯეთ ტეხნიკურ საზოგადოებას, გაგზავნეთ საუკეთესო სპეციალისტებთან.

**ისარლოვი.** კავკასიის რკინის-გზა და პეტერბურგი!

**ალიხანოვი.** აგრე, მუქთად არავინ არ გასინჯავს გულიანად.

**ქალაქის თავი.** მაშ როგორ გინდათ?

**ალიხანოვი.** ეგ თქვენი საქმეა. ჩვენ ეხლა არ ვიცით ჯერა.

**ქალაქის თავი.** მაშ როდის გეცოდინებათ?

**ისარლოვი.** აგრეთვე ტეხნოლოგიურ ინსტიტუტში.

**სტებნიცკი.** გავგზავნოთ პეტერბურგის გამგეობაში. იქ სანაქებო სპეციალისტები ჰყავთ და საქმეც კარგად იციან. ისინი განიხილავენ.

**ისარლოვი.** არა, ყველას ემჯობინება, გავგზავნოთ ჩვენი პროექტი ყველა ქალაქის გამგეობაში, სადაც კი გაზით განათება შემოუღიათ.

ასე... ეწინაღმდეგებოდენ ხმოსნები გაზით განათების შემოღებას; არა, გაზის წინაღმდეგ კი არა ჰქონდათ-რა, იმათ უფრო ის უნდოდათ, რომ გამგეობისათვის დაედოთ წუნი: რად გადმოიღო თავისი პროექტი სხვა ქალაქების პროექტებიდამ, რატომ თითონ თავის საკუთარის თავით არ გამოიგონა პროექტიო, რატომ საგანგებო სისრულეს არ წარმოადგენს იგიო. თითქო ამისთანა საქმეში სხვისი მაგალითი ცხვირ ზევით ასაკილებელი იყოს. თითქო ტფილისს თავისი საკუთარი, ყველასაგან განსხვავებული ტეხნოლოგია უნდა ჰქონდეს, განსაკუთრებული არხიტექტურა, სხვანაირი ტროტუარები და სხვანი!

ასე ჩაიფუშა საქმე და გადაიდო, ვინ იცის, რა დროსთვის. ტფილისს არ უნდა განათება. ჩვენი პიანისტები ბნელაშიც მოახერხებენ მუზიკის დაკვრას. არც ჩვენს ბანკირებს გაუჭირდებათ სიბნელეში ფულის ანგარიში.

კრების დაშლისას კინაღამ... არ გაიმართა. ხმოსანი ალიხანოვი, როგორ პიანისტი, პოეტური ხასიათისა ყოფილა. ქალაქის თავმა უსაყვედურა, რომ ეგეთი წინდაუხედავი ცილობით წყლის გაყვანაც ჩაჰ-

ფუშეთ და ახლა კიდევ გაზის საქმეო. ეს შენიშვნა ძალიან ეწყინა ბ. ალიხანოვს, აენთო კაცი. ქარგია, მისმა მომხრემ, ბ. თამამშოვმა, თვისის გერკულესის მკლავით, აწია და გაუეთ გამოიყვანა აშფოთებული კაცი, თო რემ არ ვიცით, რას შევეწრობოდით ჩვენს მუნიციპალიტეტში...

## ტელეგრამები

(«ჩრდილოეთის სააგენტოსი».)

26 იანვარს.

მოსკოვი. გუბერნიის საერო კრებამ გადასწყვიტა — მიიღოს ურთიერთობრივი დაზღვევა რქიანი საქონლისა მოსკოვის გუბერნიაში. დაზღვევა უნდა ნებაყოფლობითი იყოს, დაფასება ყველგან ერთგვარი — 25 მან თითო სულზედ. ყოველ წლივ წინ-და-წინვე უნდა შეტანილ იქმნას 2% გადაჭრილ ფასზე.

ხარკოვი. აქაური დიდი მანუფაქტურული ფირმა «იოხელსონისა და გრინბერგისა» გაკოტრდა. როგორც ისმის პასივი 400 000 მანათია.

ოდესა მოსკოვიდამ მოვიდა აქ სახალინში გასაგზავნი 45,000 არშინზედ მეტი ტილო.

რიგა. ზღვაზედ გემები დაუბრკოლებლივ დადიან. ამინდი გაზაფხულისასა ჰგავს.

კაირი. ბეკერ-ფაშა და მისი შტაბის უფროსი გენერალი სარტორიუსი წუხელის დანარჩენი ჯარით სუაკიმში მოვიდენ. სუაკიმის ციხე სიმაგრენი ბრიტანიის ზღვის სალდათებს უჭირავთ ადმირალი გიუეტის უფროსობის ქვეშ. საფრანგეთის დიპლომატიურმა აგენტმა მოითხოვა, რომ სუაკიმში გაგზავნილ იქმნას საფრანგეთის სამხედრო გემი. ის ამბავი, ვითომ ცხენების საკვებავის საშოვნელად სინკოტიდამ გამოგზავნილი ეგვიპტის ჯარები გასწყვიტა მტერმა, — მართლდება.

ლონდონი. ბეკერ-ფაშის დამარცხების შემდეგ, ყველა გემებს, რომელნიც ინგლისის ჯარებით დატვირთულნი ინდოეთისკენ მიმავალობდენ, ტელეგრამით ებძანათ გაჩერებულიყვნენ.

ლორდმა გრენვილმა გამოუცხადა ლორდთა პალატას, რომ ინგლისი ვალდებული ეგვიპტის მშვიდობიანობა დაიცვას. საზოგადოებათა პალატაში გლადსტონმა გამოაცხადა, რომ ადმირალი გიუეტი სასარგებლოდ ნცნობს, — მისი ჯარი გავაძლიეროთ და ამით სუაკიმი დავიცვათ, თუ არაბები თავ დასხმას მოიწადინებენო. მთავრობამ განკარგულება მოახდინა, რომ გიუეტს კიდევ ჯარები გაეგზავნოს.

26 იანვარს.

პეტერბურგი. გამოცხადებულია უმაღლესად დამტკიცებული აზრი სახელმწიფო რჩევისა შესახებ საადგილმამულო სახელმწიფო ხარჯის მომატებისა. უუდიდესი ხარჯი არის კურსკის გუბერნიაში — დესიატინაზედ 17 კაპ, უუმცირესი — ¼ კაპეიკისა არხანგელსკის გუბერნიაში. «ნოვოსტი» ამბობს სინოდში აღუძრავთ ლაპარაკი, შესახებ იმისა, რომ სასულიერო სემინარიებში შეეძლოთ რექტორად ყოფნა საერო პირთაც, რომელთაც უმაღლესი განათლება მიუღ ათ.

კაირი. ბეკერ-ფაშა იუწყება, რომ მტრის ჯარი 1000 კაცს არ აღემატებოდა, მაგრამ ზანგ სალდათებს უარი უთქვამთ ბრძოლაზე, გამოქცეულან და თითონ ბეკერ-ფაშა თავის შტაბითურთ კინაღამ არ დაუხოცნია თავისავე ჯარს.

პეშტი. დეპუტატთა პალატამ გამორიცხა მორიგ-საგნებიდამ კანონ პროექტი ქრისტიანთა და ებრაელთა შორის ქორწინებისა და მისცა წინადადება მთავრობას, რომ ეს საგანი განხილულ იქმნას უფრო მარჯვე დროს.

ლონდონი საზოგადოებათა პალატაში გლადსტონმა სთქვა, რომ ბეკერ-ფაშას დამარცხება ნამდვილია, მაგრამ ეს გორდონის საქმეს არას ავნებსო, რადგან მას ვრცელი უფლება აქვს მინიჭებულიო. ჩერჩილმა წინადადება შეიტანა, რომ დედოფლისადმი ადრესში გამოცხადებული იყო უნდობლობა ეხლანდელ კაბინეტისადმი, მაგრამ პალატის პრეზიდენტი არ დათანხმდა ამაზედ. სამხედრო მინისტრს მოლაპარაკება აქვს ნაოსნობის საზოგადოებებთან, რათა ეგვიპტეში დიდ ძალი მაშველი ჯარი გაგზავნონ.

ბელგრადი. ახალი სკუპშჩინის დიდძალი უმეტესობა მთავრობის პარტიას ეკუთვნის.

## განცხადებანი

### გრიგოლ ლოლაძე

შეკადებს ზორის მაზრის კეთილშობილთ, რომელ ქალაქს ზორში გავაღე კანტორა და ვიდგენ «ვიკუპნის დაგავორებს» მებატონეთა და გლეხთა შორის მამულების შესყიდვაზედ, და ვინც ისურვებს შეუძლიანთ მობრძანდნენ ჩემს კანტორაში რომელიც არის დიდ ქუჩაზედა. (5 — 3)


ინგლისური რკინის კრავოტები



ერთის საწოლი 7 მანეთიდგან და ორის საწოლი 14 მანეთიდგან, მათი ლეიბები, ზღვის ბალახით გატენილი 5-დგან 8 მანეთამდინ. კიდევ შემდეგი ნივთები იყიდება 25%-ით უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე: ბრიტანიის მეტალის ნივთები, ჩაიდნები, საკარაქე, საშაქრე, ჩაისა და სტოლის კოვზები ჩანგლებითა, ფადხოსი, დასადგმელი, პირისსაბანი, სტაქნები, სუფოვნიკი, საწყაოები, რიუმკები, გრაფინკები, საქაშური, თეფშები, ბლუდები, სასალათეები, ტაშტები, სარძევეები, სამარილეები, გარზიცის საფხეკები, უნაგირები კაცისა და ქალისა, აღვირები, ხლისტები, ტანისამოსის დასაკიდებლები, საბალო მაკრატლები, ვაქსები, უთოები, წისქვილები, ხურხები, ქლიბები, გლილეები, ინგლისის თოფები და რევოლვერები, პიკები, ზარიადები, კაპსიულები, ხაფანგები, ნიჩბები, ვატერპრუფები, საბნები, ჩულქები, წინდები, სუფრები, სალფეტკებისათვის რგოლები, ემალიანი ჭურჭელი, მურაბები, კამფეტები, პიკულები, სოუსები, ზღვის ბალახი, დიმიკოტონები და სხ. ინგლისურს მაღაზიებში №№ 156, 157, 158, 159 და 160. ამ ნომრებს ყურადღება მიაქციეთ. (100—51)

## ინგლისის მაღაზია

Maison de confiance

| შეადარეთ ჩვენი ჩაი | მოსკოვის ჩაის |
|---|---|
| 1 მ. 10 კ. | 1 მ. 40 კ. |
| — — 1—20 | — — 1—60 |
| — — 1—40 | — — 1—80 |
| — — 1—60 | — — 2— „ |
| — — 1—80 | — — 2—50 |
| საუკეთესო 2— „ | — — 3— „ |

იქვე იყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრავოტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასაღებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კლეონკა, წინდები — კაცის და ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოშინ კალენკორი — სულ ყველაფერი 25-დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1,000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ იხდის. (100—75)

ინგლისის მაღაზიაში

## თმის-ამომყვანი

ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშის 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ. (100—89)



## მაკ-მასტერი

იქვე იყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სხოტკები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ.

## ჟურნალი „ივერია“

(წელიწადი მერვე)

ამ 1884 წ. იანვრიდამ ჟურნალი «ივერია» გამოვა ყოველ-თთვე და თთვე იმავე სახით და სივრცით, როგორც აქამომდე გამოდიოდა.

ხელის-მოწერა მიიღება

თბილისში: შ ვერდოვის სააგენტოში და «ივერიის» რედაქციაში, რომელიც იმყოფება სიმონსონოვის ქუჩაზედ, ნაზაროვის სახლებში, პირველი კლასიკური გიმნაზიის უკან, სადაც ზედა სართულში «დროების» რედაქციაა და იქავ, შუა სართულში, რედაქცია «ივერიისა».

ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში, ბულვართან.

ბათუმში, «წერა-კითხვის საზოგადოების» სკოლის მასწავლებელ მ. ი. ნათაძესთან.

ფასი მთელის წლისა 7 მან., სოფლის მასწავლებელთათვის — 5 მან. ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა დაიბარონ ჟურნალი: Въ Тифлисъ, въ редакцію журнала «Иверія».

ხვედრი ფული ხელის-მომწერმა ჟურნალის დაბარებისათანავე უნდა გამოგზავნოს რედაქციაში.

(10—1) რედაქტორი და გამომცემელი ილ. ჭავჭავაძე.

საგლობუსო 

კალმები

რომლებითაც შეიძლება წერა სულ მსხვილ, უსუფთაო ქაღალდი. ერთად-ერთი სააგენტო — ინგლისის მაღაზია. იქვე აუარებელი სხვა-და-სხვა გვარის კალმები, ყოველის „ხელისათვის“ — 25% იაფად, ვინემ სხვაგან. იქვე: მელანი, ქაღალდი, კანვერტები, რგულები, ლაქი, კარანდაში, პენალი, კალმები, ბუმაჟნიკები, პორტსიგარები, ალბომები, რამკები, მაკრატლები, სამართებლები, სანთელი, სალესი, ცარაშკები ჭურჭლების საწმედად (ბორაკსი), თეთრეულისათვის, პატარა ხალხისა იატაკისათვის კლიონკები. ტახტები, სავარძლები, სარკეები, სავარცხლები, ბეზმენი, ზარები, ზინოკლები რულეტკები, კატერპასები, მზის-საათები, კომპასები, ტერმომეტრები, მეწკვები, ნემსები, მაგნატები, სვისტოკი, პომოჩი, ქამრები, სარტულები. საყელური, პრობკები, საპრობკეები, კრანები, ფილტრები, შჩოტკებისათვის. ტანისამოსის, ცხენის და პატენტიანი მაკინტოშები, კრაგები, საქიმო ქაღალდი კატერ-გლოზეტისათვის და სხვ. და სხვ.

პატაშკი — 20 კ. (100—24)


Дозв. цензур. Тифлисъ, 26 Января 1884 г. ექ ხელაძის სტამბა (Типографія Е. Хеладзе). გამომცემელი ბ. ქართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი.